

ტექნიკური დავალება

მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრის დადგენა (დელიმიტაცია), დემარკაცია და მიწის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

1. შესყიდვის ობიექტია: მაჭახელას ეროვნული პარკის (დაუზუსტებელი ფართობი 8733 ჰა დაახლოებითი პერიმეტრი 168 კმ - აქედან დაახლოებით 28 კმ ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს) საზღვრის დადგენის -დელიმიტაციის, დემარკაციას და მიწის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების - „დაცული ტერიტორიების დემარკაციის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, საკადასტრო აღწერის ტექნიკური პირობები უნდა შეესაბამებოდეს „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით საკადასტრო დოკუმენტაციისთვის გათვალისწინებულ ნორმებს ამ ტექნიკური დავალების შესაბამისად.

შემსრულებელი ვალდებულია:

- არაუგვიანეს 5 თვის ვადაში შეასრულოს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები;
- პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული სამუშაოები (**მოსამზადებელი და სადელიმიტაციო სამუშაოები**) განახორციელოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით.
- დაცული ტერიტორიების სააგენტო უზრუნველყოფს გეგმების, 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები, მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრებს GIS Shapefile-ის ფორმატში შემსრულებელი კომპანიისთვის გადაცემას, **№414 დადგენილების მე-3** მუხლით განსაზღვრული **სხვა მასალების** მოპოვებას უზრუნველყოფს შემსრულებელი კომპანია. **№414 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებით** განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდგომ შემსრულებელი კომპანია ვალდებულია როგორც შემსყიდველს, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმოუდგინოს №414 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრული შუალედური რუკა, რომელიც მომზადებული იქნება ტოპოგრაფიულ და ორთოფოტო საფუძველზე (ციფრული და ქალაქის ვერსიები).

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-5 მუხლით (საველე აზომვითი სამუშაოები) განსაზღვრული სამუშაოების დაწყებამდე

შემსრულებელი ვალდებულია დაცული ტერიტორიების შუალედური საზღვარი შეათანხმოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული სამუშაოების (საველე აზომვითი სამუშაოები) განხორციელებისას ითანამშრომლოს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტებთან, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდგომ წარმოადგინოს საბოლოო რუკა (ციფრული და ქაღალდის ვერსიები) სადაც ნაჩვენებია იქნება სხვაობა შუალედურსა და ადგილზე აზომილ საზღვარს შორის. აღნიშნული საბოლოო საზღვარი შეათანხმოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლით განსაზღვრული(კამერალური სამუშაოები და საკადასტრო დოკუმენტაციის მომზადება) მასალასთან ერთად წარმოადგინოს აღნიშნული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მაჭახელას დაცული ტერიტორიის და მისი მიმდებარე პერიმეტრის 1: 50 000 მასშტაბის ვექტორული ტოპომონაცემები GIS შეიპ ფაილის ფორმატში რელიეფი, იზოხაზები სიმაღლეები, მთები, გვირაბები, უღელტეხილები, ჰიდროგრაფია, დასახელებული პუნქტები, გზები, რკინიგზები, მცენარეული საფარი: ტყე, ბუჩქნარი, ბაღები, რელიეფის ციფრული მოდელი, ადმინისტრაციული საზღვრები. შემსრულებელმა დაცული ტერიტორიის საკადასტრო აზომვით ნახაზებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ასევე ამოსარიცხი ტერიტორიების საკადასტრო აზომვითი ნახაზები.
- მიმწოდებელი არ არის ვალდებული განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-8 მუხლით განსაზღვრული მომსახურებები (საზღვრის მარკირება); იგი ვალდებულია მხოლოდ სარეკომენდაციო სახით წარმოადგინოს სადემარკაციო ბოძების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები. ამასთან ცალკე გამოყოს მნიშვნელოვანი/პრიორიტეტული ადგილები სადაც პირველ რიგში უნდა განთავსდეს სადემარკაციო ბოძები (საზღვრის ხაზის მოხვევის წერტილები,

ადგილები სადაც საზღვრის აღქმა გართულებულია გარემოს ფიზიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, დასახლებებთან ახლომდებარე წერტილები).

- დაცული ტერიტორიების დაზუსტებული საზღვრის რეგისტრაციის განმავლობაში წარმოქმნილი ნებისმიერი ხარვეზის გასწორებას ახორციელებს შემსრულებელი კომპანია.
- დაცული ტერიტორიების სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადების შემდგომ წარმოადგინოს საბოლოო რუკა ტოპოგრაფიულ საფუძველზე საკოორდინატო ბადის მითითებით, მთლიანი და მუნიციპალიტეტების მიხედვით არანაკლებ 1:25 000 მასშტაბის ციფრული და ქალაქის ვერსიები (ლამინირებულ ან სხვა ცვეთა მედეგ ქალაქდზე), 3-3 ეგზემპლარი, რომელიც დამოწმებული იქნება შემსრულებელი კომპანიის მიერ;

შენიშვნა: მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილება - „დაცული ტერიტორიების დემარკაციის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ იხილეთ დანართი.

2. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები:

2.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 5 თვისა.

2.2 მომსახურების გაწევის ადგილი: მაჭახელას ეროვნული პარკი (დაუზუსტებელი ფართობი 8733 ჰა დაახლოებითი პერიმეტრი 168 კმ - აქედან დაახლოებით 28 კმ ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს).

2.3 მიმწოდებელმა დაცული ტერიტორიების სრული სარეგისტრაციო დოკუმენტები და საბოლოო რუკა ტოპოგრაფიულ საფუძველზე საკოორდინატო ბადის მითითებით, მთლიანი და მუნიციპალიტეტების მიხედვით არანაკლებ 1:25 000 მასშტაბის უნდა წარმოადგინოს ციფრული და მყარი სახით (ლამინირებულ ან სხვა ცვეთა მედეგ ქალაქდზე).

2.4 მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში (მოთხოვნის საფუძველზე) გონივრულ ვადაში განახორციელოს ნებისმიერი წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით დაზუსტებული საზღვრის რეგისტრაციის განმავლობაში.

3. დამატებითი მოთხოვნები:

3.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოადგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე.

3.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

3.3 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები მხოლოდ დღგ გარეშე.

3.4 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

3.5 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ბრალეულობით (ქმედებით ან უმოქმედობით) გამოწვეული ნებისმიერი სახის ზარალი.

4. გაწეული სამუშაოების განხორციელებით მიღებული საბოლოო პროდუქტები :

4.1 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული მოსამზადებელი და სადელიმიტაციო სამუშაოების საფუძველზე მომზადებული და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებული შუალედული რუკის წარმოდგენა

4.2 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო აზომვითი სამუშაოების შედეგად მომზადებული და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებული მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრების საბოლოო რუკის წარმოდგენა (ციფრული და ქაღალდის ვერსიები)

4.3 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ივნისის №414 დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შედეგად მომზადებული დაცული ტერიტორიის საკადასტრო აზომვითი ნახაზების, ასევე ამოსარიცხი ტერიტორიების საკადასტრო აზომვითი ნახაზების-დამოწმებული შემსრულებელი კომპანიის მიერ, აგრეთვე აზომვითი ნახაზები წარმოდგენილი ელექტრონული ფორმით დისკზე ჩაწერილი shp ფაილების წარმოდგენა. ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი ვექტორული ტოპომონაცემების და სადემარკაციო ბოძების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატების ინფორმაციასთან ერთად.

4.4 საბოლოო რუკა ტოპოგრაფიულ საფუძველზე საკოორდინატო ბადის მითითებით, მთლიანი და მუნიციპალიტეტების მიხედვით არანაკლებ 1:25 000 მასშტაბის ციფრული და ქაღალდის ვერსიები (ლამინირებულ ან სხვა ცვეთა მედეგ ქაღალდზე), 3-3 ეგზემპლარი, რომელიც დამოწმებული იქნება შემსრულებელი კომპანიის მიერ.;